26/11/2020

მეუფე იაკობი ხელისუფლებასა და ოპოზიციას ეკლესიაში სასაუბროდ იწვევს

არჩევნებმა უნდა გაგვაერთიანოს, კი არ უნდა გაგვყოს. თუ გარეთ ვერ ვპოულობთ გამოსავალს, მარტო უცხოელებთან მისვლა არ არის საკმარისი, შეუძლიათ ჩვენთანაც მოვიდნენ, – ამის შესახებ ბოდბელმა მთავარეპისკოპოსმა, მეუფე იაკობმა ქადაგებისას განაცხადა.

მისივე თქმით, ეკლესია არის ის ადგილი, სადაც შეიძლება მოხდეს გაერთიანება.

მეუფე იაკობის განცხადებით, ეკლესიაში მისვლის სურვილი არც ოპოზიციის და არც ხელისუფლების წარმომადგენლებს არ გამოუთქვამთ.

„ეკლესია არის ის ადგილი, სადაც შეიძლება მოხდეს გაერთიანება. ხომ ხედავენ, რომ არ ჩავრეულვართ არც ერთ მხარეს ამ არჩევნებზე. ღმერთმა ყველა დალოცოს და შევთხოვ უფალს, გონიერმა გულმა გაიმარჯვოს ქართველებში. შევხედოთ ირგვლივ რა სიტუაციაა, საბოლოო ჯამში, რაც არ უნდა ვიძახოთ, კარგი გვინდა ქვეყნისთვისო, მაინც მტრის წისქვილზე დავასხამთ წყალს. ჩიხური მდგომარეობა, ძალით თუ არ შედიხარ ჩიხში, არ არსებობს. რაღაც გამოსავალი უნდა ვნახოთ. მანამდეც ვამბობდი, რომ რთული იქნებოდა. პირდაპირ ჩანდა საითაც მივდიოდით. ჩვენ ამას შევწირეთ ყველაფერი, ადამიანების ჯანმრთელობა შეეწირა, რომ ჩატარებულიყო არჩევნები. იცით, რომ არჩევნების მერე კი არ გავრცელდა, მანამდეც საკმაოდ გავრცელდა

იმიტომ, რომ სხვადასხვა რეგიონში დადიოდნენ. კარგად გადახედეთ, მაშინ იმატებდა დასნებოვნებულების რიცხვი. ახლაც ხედავთ რა პროცესებია და რაც არ უნდა შეზღუდო, არაფერი გვეშველება, ღმერთმა თუ არ გვიშველა. ადრეც გაგვაფრთხილეს რამდენი კაცი იყო გარდაცვლილი, წესიერად რომ მოვქცეულიყავით ამდენი მსხვერპლი არ გვექნებოდა. დამნაშავეები ვართ, ეს რომ ხდება“, – განაცხადა მეუფე იაკობმა.

მისი თქმით, ის, „დღეს რაც ხდება, ყველას დანაშაულია“.

„არ შეიძლება ქართველის ასე გაყოფა. ვინც არ უნდა ყოფდეს, ნებსით თუ უნებლიეთ, ჩვენი მტრების საქმეს აკეთებენ. რატომ უნდა ხედავდნენ უცხო ქვეყნები ეკლესიის როლს? ჩამოვიდნენ, ნახეს ხელისუფლების წარმომადგენლები, ეს აუცილებელია, როცა ქვეყანაში ჩადიხარ, მაგრამ ჩვენთან, ეკლესიაში განსაკუთრებული შეხვედრა ჰქონდათ ამერიკელებს. თვითონაც ხედავთ, როგორ განცხადებებს აკეთებენ, ჩვენს ტრადიციებს აფასებენ. ჩვენი ეკლესიის როლს აფასებენ ამ ტრადიციების დაცვაში. ზოგს შეიძლება არ მოსწონდეს, მაგრამ ჩვენ ძველი დროიდან ვარსებობთ და ახლა ყოველ 15 წუთში ვერ შევიცვლით ჩვენს აზრებს და ცხოვრების წესს. მინდა ერმა იცოდეს, არც ერთ მხარეს არ გამოუთქვამს სურვილი ჩვენთან მოსვლის. ჩვენთან არავინ მოსულა პოზიციიდან თუ ოპოზიციიდან. ვისურვებდი, პოლიტიკოსები ისე მოქცეულიყვნენ, რომ საქართველომ გაიმარჯვოს. საქართველო ჩვენი საერთო სახლია და ნუ დავასუსტებთ. ერთმანეთს ნუ ვეომებით და ნუ ვჩხუბობთ. გამოსავალი უნდა ვნახოთ საქართველოს საკეთილდღეოდ. სულ ასე ერთმანეთის ჭამაში როგორ უნდა ვიყოთ? რა კარგი ერი ვართ, როგორი ნიჭიერი ერი ვართ, კონკურენტუნარიანები ვართ უცხოეთშიც რომ გავდივართ და ერთი საქართველოსთვის ვერ მოგვივლია. იმედია, მოვუვლით და გადაივლის ეს ყველაფერი“, – განაცხადა მეუფე იაკობმა.

— dogma.ge